სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

პროექტის მთავარი არქიტექტორის

დიმიტრი მარგალიტაშვილის

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

გაცნობებთ რომ, 29.06.2017 წელს შპს „სვეტი ჯგუფი"-ს მიერ წარმოადგენილია №AR1518110 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა უძრავ ნივთზე მდებარე: ქ.თბილისში ჭყონდიდელის ქუჩა №22 საკადასტრო კოდი 01.12.12.024.211 მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 1854.3 კვ.მ, რომელზეც განთავსებულია სექტორი №1, ბლოკი №1-2 და 04.07.2017 წელს წარმოდგენილია № AR1518267 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა უძრავ ნივთზე მდებარე: ქ.თბილისში ჭყონდიდელის ქუჩა №22 საკადასტრო კოდი 01.12.12.024.213 მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 1803 კვ.მ, რომელზეც განთავსებულია სექტორი №2, ბლოკი №3-4, თანახმად თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გაცემული 2016 წლის 22 აპრილის № AR1348778 გადაწყვეტილების შესაბამისად.

შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით

1) ბლოკი 1-2

- საერთო ფართობი (კვ.მ).:7030
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:4281.7
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).:707.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1015.7
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:297.6
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:727.5

დიმიტრი მარგალიტაშვილი.

2) ბლოკი 3-4

- საერთო ფართობი (კვ.მ).:7036.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:4281.7
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).:707.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1020.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:299.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:727.5

წარმოგიდგენთ განმარტებას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით

ქ.თბილისში ჭყონდიდელის ქუჩა № 22 საკადასტრო კოდი 01.12.12.024.211 მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 1854.3 კვ.მ რომელზეც განთავსებულია სექტორი №1, ბლოკი №1-2 და ქ.თბილისში ჭყონდიდელის ქუჩა №22 საკადასტრო კოდი 01.12.12.024.213 მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 1803 კვ.მ, რომელზეც განთავსებულია სექტორი №2, ბლოკი №3-4, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ვალდებულებები ფიზიკურ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც იდენთიფიცირებულია ბლოკების შესაბამისად. წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის და შესათანხმებელი პროექტის შედეგად არ ხდება აღნიშნულ პირთა მისაღები უძრავი ნივთების მდებარეობის და ფართობის შეცვლა. შესაბამისად არ საჭიროებს მათ თანხმობას პროექტის კორექტირებასთან და პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ ზემოაღნიშნული განმარტება გაითვალისწინოთ № AR1518110 და № AR1518267 განცხადებებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

პროექტის მთავარი არქიტექტორი: დიმიტრი მარგალიტაშვილი

აკინძულია 2 ფურცლად
ნოტარიუსი
დ.მეფარიშვილი

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N170864596 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 31.07.2017 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | დავით მეფარიშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 110 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2477029, 598262299, 593262299 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 48602530603117 |

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდათერთმეტ ივლისს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N110-ში, მომმართა დიმიტრი მარგალიტაშვილმა, რომელმაც წარმოადგინა განმარტება თბილისის არქიტექტურის სამსახურის სახელზე ერთი ეგზემპლარი ორ გვერდად და განაცხადა, რომ სურს დაადასტუროს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობა. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დიმიტრი მარგალიტაშვილმა (დაბ. 01.01.1964წ, პ/ნ №01019019043, მცხ.თბილისი ზესტაფონის ქ. N 18 კორ. 3 ბ. 21) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. შემდეგ მე განვუმარტე მას, რომ ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმებისას მოწმდება მხოლოდ ხელმომწერი პირის ხელმოწერის ნამდვილობა ისე, რომ არ მოწმდება ხელმომწერის უფლებამოსილება ხელმოწერაზე, მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და ადეკვატური ასახვა ტექსტში, ამასთან, არ მოწმდება ტექსტის კანონმდებლობასთან შესაბამისობა და მასში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობა, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი ორივე გვერდს.
"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია სულ: 6 ლარი. მათ შორის: 31.3. მუხლის საფუძველზე 2 ლარი თითოეული ხელმოწერის დადასტურებისთვის (4 ლარი) და 2 ლარი 39.1. მუხლის საფუძველზე.

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18